პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 225 (5775)
14 ნოემბერი, 1976 წ. კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდის ხარისხი და ეფექტი

ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის რესპუბლიკური ფედერაციების ბიუროს მორიგმა სხდომამ, რომელიც ახლახან საქართველოს სპორტკომიტეტში გაიმართა, განიხილა ცალკეული ფედერაციების მიერ წლეულს გაწეული მუშაობის ანგარიშები.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ფედერაციების საქმიანობა გასულ წლებთან შედარებით გამოცოცხლდა, უფრო ქმედითი და მიზანსწრაფული გახდა. თბილისის სამხატვრო გალერეაში მოეწყო პირველი მასშტაბური სპორტული გამოფენა, რომელმაც ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და მოწონებაც დაიმსახურა. გაუმჯობესდა ფიზკულტურისა და სპორტის ლექციური პროპაგანდა.

აღსანიშნავია ამ საქმეში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნისა“ და საქართველოს სპორტკომიტეტის ერთობლივი წვლილი. ამ ორგანიზაციებმა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე მოაწყვეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. ახლახან „ცოდნამ“ მასობრივი ტირაჟით გამოსცა თ. ჩოთალიშვილის ბროშურა „ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სოფლად“, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ფეხბურთის გულშემატკივრებმა მიიღეს საინტერესო ცნობარი: ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მოპოვებისთანავე გამოიცა გ. აკოფოვის ბროშურა „ასე ნანატრი გამარჯვება“. ტელემაყურებელი ინტერესით შეხვდა ახალ მოკლემეტრაჟიან ფილმს ა. მეტრეველზე. რესპუბლიკაში გამართული ყოველი დიდი ასპარეზობის შემდეგ ეწყობა პრეს-კონფერენციები. გაუმჯობესდა სპორტულ ბაზებზე ჟურნალისტთა და კომენტატორთა მუშაობის პირობები.

სხდომაზე აღინიშნა ნაკლიც. ზოგიერთი ხარვეზი, როგორც ითქვა, ცალკეული ორგანიზაციების მხრიდან ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისადმი უყურადღებობითაა გამოწვეული. ბიუროს სხდომაზე გააკრიტიკეს ქუთაისის სპორტული მუზეუმის ხელმძღვანელობა, რომელმაც თბილისში სპორტულ გამოფენაზე ექსპონატები არ გამოგზავნა. საყვედური გამოითქვა, აგრეთვე, საქართველოს მხატვართა კავშირის მიმართ, რომელიც ხშირად თავს არიდებს გამოფენების მოწყობას, თუმცა ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

ითქვა, რომ შეჯიბრებათა მიმოხილვებში, სპორტული ბაზების რადიოინფორმაციებსა და კომენტატორთა რეპორტაჟებში ხშირად მახინჯდება ქართული ენა, ენობრივად გაუმართავია აფიშებისა და სასტუმრო ბარათების ტექსტები. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას სპორტული ბაზების მხატვრული გაფორმება. ითქვა ისიც, რომ ჩვენი ქალაქის ბევრი სტუმარი მიჰყავთ თბილისის სპორტის სასახლის დასათვალიერებლად, მაგრამ ისინი მხოლოდ შენობის არქიტექტურას ეცნობიან, რადგან ქართული სპორტის ტრადიციების ამსახველ მასალებს იქ ვერსად შეხვდებით. ამ ნაკლისგან არც საჭადრაკო და ალპური კლუბებია დაზღვეული. სხდომაზე ითქვა, რომ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი ამთავითვე უნდა გადაიქცეს სპორტის პროპაგანდის თვალსაჩინო კერად. აქ უნდა ეწყობოდეს შეხვედრები სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სპორტსმენებთან, სახელოვან ვეტერანებთან, გულშემატკივრებთან. სხდომაზე მსჯელობა იმის შესახებაც იყო, რომ კარგი იქნება სპორტის გულშემატკივრებისა და პროპაგანდით დაინტერესებული საზოგადოებრივი მუშაკებისთვის შეიქმნას საკონსულტაციო პუნქტი. ითქვა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილებაზე ლექციების ჩასატარებლად მიიწვევენ ცნობილ ჟურნალისტებსა და ფილოლოგებს. სათანადო ორგანიზაციების წინაშე აღიძრა ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შედგენის დაჩქარების საკითხი.

ბიურომ უახლოეს ამოცანად დაისახა იზრუნოს თბილისში ბავშვთა საჭყუმპალაოების აგებისა და სპორტული მუზეუმის აღდგენისთვის.

დამტკიცდა მომავალ ღონისძიებათა გეგმა: დეკემბერში სპორტის სასახლეში ჩატარდება სპორტული წლის შემაჯამებელი საღამო, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები შეხვდებიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს, ქართული ენის სპეციალისტები კონსულტაციას გაუწევენ სპორტულ კომენტატორებს.

ცალკეული ფედერაციების მუშაობის შესახებ სხდომაზე ანგარიშით წარდგნენ ვ. ელაშვილი (ლექციური პროპაგანდა), გ. ჭელიძე (ტელე-კინო სექცია), თ. გაჩეჩილაძე (სპორტული ჟურნალისტიკა), გ. ფირცხალავა (თვალსაჩინოებითი პროპაგანდა).

სხდომას ესწრებოდა და კონკრეტული წინადადებები წამოაყენა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. გაჩეჩილაძემ.

ბიურომ დააკმაყოფილა გ. ფირცხალავას თხოვნა და გაათავისუფლა იგი თვალსაჩინოებითი პროპაგანდის ფედერაციის თავმჯდომარის მოვალეობისგან. ამ ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ნ. მეტონიძე.

ფედერაციების მიერ გაწეული მუშაობა შეაჯამა და მომავლის ამოცანებზე ისაუბრა ბიუროს თავმჯდომარემ, მწერალმა გ. ფანჯიკიძემ. ბიუროს მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი.



ნუ აჩქარდებით...

თბილისი. სპორტის სასახლე. 12 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 87:85 (44:51).

„დინამო“: ბიჭიაშვილი (გუნდს შესძინა 27 ქულა), მ. ქორქია (17), პულავსკი (11), ჭგერენაია (10), ჩიხლაძე (6), დერიუგინი (6), ძიძიგური (5), ნ. ქორქია (5).

„ჟალგირისი“: ლინკიავიჩუსი (32), ჟუკაიტისი (20), იურკშაიტისი (15), იოვაიშა (10), არლაუსკასი (4), ლასკისი (3), ლაურიტენასი (1), ვასილიაუსკასი.

მსაჯები: ი. აპოლონოვი (ლენინგრადი) და ო. არსლანოვი (ყაზანი).

დუბლიორები — 75:77 (41:31).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

• •

საით მიდის, რა გზებით ვითარდება კალათბურთი, ძნელი სათქმელია. დავუშვათ, როგორც ამბობენ, ერთ მშვენიერ დღეს სტადიონზე გამოვიდა ათი ავტომატი-კალათბურთელი. არც ერთი უზუსტო გადაცემა, კალათის აღების არც ერთი გამოუყენებელი შესაძლებლობა. ყველა მაქსიმალურად ზუსტია და შედეგიანი. შეხვედრა მოიგო იმან, ვინც პირველი დაეუფლა ბურთს. კალათბურთი, ჩვენი საყვარელი და გატაცება, საოცრად უინტერესო და მოსაწყენი გახდა. კალათბურთი მოკვდა საერთოდ, ვინაიდან ავტომატებმა მოედნიდან გააძევეს ადამიანები და თამაშს სული გამოაცალეს.

მაგრამ, საბედნიეროდ კალათბურთი ავტომატების სპორტი არასდროს იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა იგი თამაშია, ხასიათებისა და ემოციების ლამაზი და ეფექტური შეჯიბრება. მანქანას მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე შესწევს უნარი გასწიოს ადამიანის მაგივრობა. მერე კი იქ, სადაც ალღო ან ინტუიციაა საჭირო, ავტომატი ვერასდროს მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ესე იგი, საგანგაშოც არაფერია.

მეტსაც ვიტყვი: კალათბურთის სიძლიერე ის არის, რომ თამაშის მონაწილე გუნდები გაშუდმებით და მიზანსწრაფულად ძლევენ წინააღმდეგობებს, ამასთან, მობილიზებული აქვთ თავიანთი ფიზიკური, გონებრივი და ემოციური რესურსები. სწორედ უმაღლესი მობილიზაციის დროს აღწევს გუნდი შემოქმედებითი შესაძლებლობების ზენიტს, ესე იგი, კალათბურთი იმთავითვე დაზღვეულია შტამპისგან, ერთფეროვნებისგან, სქემატურობისგან. უბრალოდ, არსებობს კარგი, ლამაზი, საინტერესო კალათბურთი და არსებობს მისი უხეირო, უხარისხო ნაირსახეობა — განსხვავებაც ამაშია.

„ჟალგირისისა“ და „დინამოს“ გუშინწინდელი მატჩი სანახაობრივად უნაკლო იყო. ამას რამდენიმე

(დასასრული მე-3 გვ.).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

თბილისის „დინამო“ — მესამე!

ღირსეული ფინიში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 13 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 3:1 (0:1).

თბილისი: გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე (დარასელია), მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი.

მოსკოვი: გონტარი, ნიკულინი, პაროვი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი (კრამარენკო), გერშკოვიჩი, მინაევი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, კაზაჩონოკი (გავრილოვი).

მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გაფრთხილებულია ხინჩაგაშვილი.

ძნელად რომ ერთ კონკრეტულ მატჩში მოიყაროს თავი სპორტული ინტერესის იმდენმა ასპექტმა, როგორც ეს თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა გუშინდელ შეხვედრაში იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ძველ ინტერესებზე, რომლებიც ოთხი ათეული წელია ერთმანეთთან აქვთ თანაკლუბელებს, მასპინძელთათვის ამოცანა კონკრეტულად იდგა: III ადგილი, ბრინჯაოს მედლები და მასთან ერთად გაისად უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობა. ამ მიზნების მისაღწევად მოსკოველებს ერთი ქულაც ყოველმხრივ აძლევდათ ხელს, თბილისელებს კი სჭირდებოდათ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება და ისიც სულ ცოტა 2 ბურთის სხვაობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრინჯაოს მედლები და უეფა-ს თასზე მონაწილეობაც გაურკვეველი მომავლის პრობლემად იქცეოდა.

მასპინძელთა მდგომარეობა მით უფრო გართულდა, როცა დასაწყისშივე სტუმრებმა ერთადერთი კონტრშეტევისას წარმატებას მიაღწიეს. არსებითად, ამ ეპიზოდში თბილისელებს არავითარი ხიფათი არ ელოდათ, მაგრამ დაცვაში დაშვებული იქნა ელემენტარული შეცდომა, რომელიც ზუსტად გამოიყენა კაზაჩონოკმა — 1:0.

აღნიშნული მომენტი, უდავოდ, გამონაკლისს წარმოადგენდა არა მარტო ამ პერიოდში, არამედ საერთოდ, ვინაიდან თამაშის სადავეები მტკიცედ ეპყრათ ხელთ მასპინძლებს, სტუმრები კი უმთავრესად მომგერიებელთა როლში გამოდიოდნენ.

ეს უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი გახდა თამაშის მეორე ნახევარში. მიმდინარეობდა 50-ე წუთი, მოსკოველთა მეკარე გონტარი შეცდა, ანგარიშმიუცემლად გაჰყვა ყიფიანს საჯარიმო მოედნის კუთხეში, თბილისელმა მას ტექნიკურად გადაუგდო თავს ზემოთ ბურთი და მეკარის ლაფსუსი გოლად აქცია ჩელებაძემ — 1:1.

68-ე წუთზე, მასპინძელთა ერთ-ერთი იერიშისას საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: მოსკოველთა მცველებს სურდათ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობა შეექმნათ ჩელებაძისთვის, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ქორიძემ დროზე მიაწოდა მას ბურთი. ჩელებაძე პირისპირ გავიდა გონტართან და მეორე ბურთი გაიტანა მის კარში.

აი, აქ გახდა ცხადი, რომ შეიძლებოდა არა მარტო მატჩის მოგება, არამედ გამარჯვება იმ ანგარიშით, რომელიც სხვა, უფრო დიდ მიზნებს შეასხამდა ხორცს. 89-ე წუთზე ყიფიანი — მაჩაიძის კომბინაცია მესამე გოლით დასრულდა და თბილისის დინამოელებმა 1976 წლის სეზონის ღირსეული ფინიშით კიდევ ერთი სიხარული მოუტანეს თავიანთ გულშემატკივრებს: ისინი კვლავ ბრინჯაოს პრიზიორები არიან და კვლავ ითამაშებენ ევროპის ოფიციალურ ტურნირში.

ზ. ძორძია.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“	15	9	2	4	20—9	20
„დინამო“ კ.	15	6	6	3	22—16	18
„დინამო“ თბ.	15	6	5	4	16—12	17
„კარპატი“	15	6	5	4	22—19	17
„ზენიტი“	15	6	4	5	22—16	16
„დინამო“ მ.	15	7	2	6	15—13	16
ცსკა	15	5	5	5	21—16	15
„ლოკომოტივი“	15	6	3	6	13—13	15
„ჩერნომორეცი“	15	7	1	7	14—20	15
„შახტიორი“	15	5	4	6	12—10	14
„კრილ. სოვ.“	15	5	4	6	12—15	14
„ზარია“	15	6	2	7	12—17	14
„დნეპრი“	15	6	2	7	12—17	14
„არარატი“	15	4	6	5	14—20	14
„სპარტაკი“	15	5	3	7	15—18	13

გუშინ...

ერევანში ადგილობრივმა „არარატმა“ მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“. მატჩს ერევნელთათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მოგების შემთხვევაში ისინი ინარჩუნებდნენ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას. „არარატმა“ ეს ამოცანა შეასრულა და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

როგორ დავამარცხოთ ფიზიკური უკულტურობის ყველაზე აშკარა ფორმა — სიმსუქნე,

დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე დაბეჭდილ სტატიაში თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ჟურნალისტი რევაზ დვალიშვილი.

დავამარცხოთ ფიზიკური უკულტურობა!

1976 წლის 12 ოქტომბერს გაზეთებმა „კომსომოლსკაია პრავდამ" და „სოვეტსკი სპორტმა" გამოაქვეყნეს ოლიმპიურ ჩემპიონთა და სპორტის ვეტერანთა წერილი ქვეყნის ყველა სპორტსმენისადმი. ეს წერილი ყველა სპორტსმენს მოუწოდებს გაშალონ ლაშქრობა — „საბჭოთა სპორტსმენები — სკოლას", მივიდნენ სკოლებში და საცხოვრებელ ადგილებში შექმნილ სპორტულ კლუბებში, სტადიონებზე, ეზოს გუნდებში.

● სპორტის სიყვარული — საქმიანობის აქტიური ფორმა ● ფიზიკური კულტურის ანბანი ბავშვობიდან ● ჩემპიონობა თვითმიზანი? ● ვივარჯიშოთ ეზოს „სპორტსკოლაში" ● „ლაშქრობა" სკოლისკენ ● სადღეისო და სამერმისო საქმე

ძველი ბერძნები ამბობდნენ: ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დგასო... სიჯანსაღე სილამაზესაც მოიცავს, რადგან ჯანსაღი თავისთავად არის ლამაზიც...

ყველა კაცს თავისი ცხოვრების გზა აქვს — აგრონომს, ექიმს, მშენებელს... ეს გზა რომ სწორად განვლო, პირველ ყოვლისა გონიერი და ჯანმრთელი უნდა იყო, ეს ყველასთვის ერთნაირად აუცილებელია!..,

ახლა ჩვენში ისეთი არავინაა, ფიზკულტურისა და სპორტის აუცილებლობაზე დიდი აგიტაცია რომ ესაჭიროებოდეს. რაც შეეხება სპორტს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, მის სწორ დაგეგმვასა და ორგანიზაციას, ეს კი ალბათ მართლაც ცალკე, საგულისხმო საუბარს მოითხოვს... სპორტის სიყვარული სტადიონის ტრიბუნაზე ან ტელევიზორთან ჯდომა არ არის... ეს საქმიანობის აქტიური ფორმაა, რომელიც ისევე აუცილებელი უნდა იყოს ერისთვის (არა მარტო პიროვნებისთვის!), როგორც შრომა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა და სხვ.

სპორტის პირველი პრობლემა მასობრიობაა. არ არსებობს ჩემპიონი მასობრიობის გარეშე... რაოდენობა გადადის თვისებრიობაში!... ამისათვის საჭიროა ბაზები, ორგანიზაცია, მეთოდიკა, მაგრამ უპირველესად საჭიროა „თვითორგანიზებულობა", სურვილი, სიყვარული, რაც სპორტს თავისთავად აქცევს მოთხოვნილებად. ალბათ ამიტომაც ჰქვია მას ფიზიკური კულტურა და არა სხვა რამ.

ყველა მარათონი პირველი ნაბიჯით იწყება. ამიტომ ჩვენც ბალავრიდან მოვყვეთ სათქმელს... ექვსი-შვიდი წლის ბავშვი სკოლაში მიდის. ბევრი მხოლოდ მაშინ იგებს, რომ ფიზკულტურა მისთვისაც ყოფილა საჭირო, რომ ის განსხვავდება ეზოში ჩვეულებრივი თამაშისგან. ბევრ ბავშვს არასოდეს უნახავს, რომ მამას ან დედას ევარჯიშოს კი არა, უბრალოდ, ხელი გაეშალოს... ასე რომ, ბავშვი სპორტს — ცნებას იმთავითვე აღიქვამს, როგორც „სასწავლო პროგრამას" (ამიტომ აქვს სპორტული ოჯახების პროპაგანდას დიდი მნიშვნელობა!) და ფსიქოლოგიურად ისევე ემზადება ფიზკულტურის გაკვეთილისთვის, როგორც არითმეტიკისთვის, ქართულისთვის... ეს უკვე ცუდი დასაწყისია! ახლა ბევრს წერენ ახალშობილთა ვარჯიშზე, ასე რომ ექვსი-შვიდი წლის ყმაწვილი ფიზიკური კულტურის ანბანს ოჯახში უნდა იყოს ნაზიარები, ეს მასწავლებელს უადვილებს საქმეს. ბევრია ისეთი მშობელი, რომელიც წერა-კითხვას სკოლამდე შეასწავლის ბავშვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას შევხვდებით ისეთს, რომელსაც დილაობით შვილი სუფთა ჰაერზე გამოჰყავს სავარჯიშოდ.

როცა მშობელს ფიზკულტურა, ხატვა და სიმღერა „მეორეხარისხოვან" საგნებად მიაჩნია, რა თქმა უნდა, ბავშვის წინაშე დიდად სცოდავს.

— სკოლა, უცხო ენა, მუსიკა, გაკვეთილები, ტელევიზორი... თითქმის როგორც წესი, რეპეტიტორი! მოდი და მოუნახე ამ „საცოდავ ბავშვს" სპორტისთვის დრო! — ღიმილით ამბობენ ხშირად მშობლები. მაგრამ, რომ თქვას კაცმა, აქ სასაცილო არაფერია. დროის პრობლემა ახლა ძსოფლიოს მართლაც აწუხებს, მაგრამ რაციონალიზმი სწორედ ამ რთული მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებაა. ახლა სჭირდება ადამიანს გონიერება... საქმე ისაა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიძნელის დასაძლევად ჯანსაღი, ჯანსაღი ბავშვია საჭირო! გურამ ფანჯიკიძის, გივი ყირმელაშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის მშვენიერი წერილები დასტამბა „ლელომ" ამის შესახებ. მართლაც, შეიხედეთ ჩვენს სკოლებში, თუ ჩასუქებული გოგო-ბიჭები არ გეცემათ თვალში. საერთოდ, დამძიმდა დედამიწა, ადამიანმა ზომა-წონაში მოიმატა. ზომისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, რაც შეეხება წონას, ამ მხრივ ჩვენი ბავშვები, რომ იტყვიან, „თითით საჩვენებელნი" არიან.

სტატისტიკამ გვიჩვენა, რომ ბავშვთა შორის სიმსუქნემ იმატა (ეს უკვე დაავადებაა!). მოსწავლეთა შორის ყველაზე გავრცელებული ფორმა კონსტიტუციონალურ-ეგზოგენური სიმსუქნეა.

„კონსტიტუციონალური" ნიშნავს შთამომავლობით სიმსუქნისადმი მიდრეკილებას (მართალი ყოფილა „ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს კბილი მოჰკვეთაო"!), „ეგზოგენური" კი გარემო ფაქტორებით გამოწვეული სიმსუქნეა. სიმსუქნით დაავადების ყველა ფორმიდან 90 პროცენტი ამ კონსტიტუციონალურ-ეგზოგენურ დაავადებაზე მოდის. ახლა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის სიმსუქნეც კი ჭარბად გვხვდება... საქმე ის არის, რომ პირველი და მესამე კატეგორიის სიმსუქნის ბავშვების ჯანმრთელობაში საგრძნობი გადახვევა არ შეიმჩნევა. მეოთხე და მეხუთე კატეგორიაში (15-40 პროცენტი მეტი წონა) კი გამოკვლეული 11-15 წლის ბავშვების 75 პროცენტს დაავადების გართულებული ფორმა აღმოაჩნდა. სსრ კავშირის ბავშვთა და მოზრდილთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ნ. ლუშინა ჟურნალში „ფიზიჩესკაია კულტურა ვ შკოლე" სავსებით სამართლიანად წერს, რომ მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის სპორტული ცხოვრება, სისტემატურად აკონტროლებდეს, როგორ ასრულებს იგი ვარჯიშებს... ამან მომაგონა ერთი ჩვენი სპორტული ჟურნალისტისა და გ. კაჩალინის დიალოგი. ჟურნალისტმა გამოთქვა აზრი, რომ სასურველია მშობელი ხშირად დადიოდეს არა მარტო სპორტული სექციის მეცადინეობაზე, არამედ ფიზკულტურის გაკვეთილზეც! „რატომ, განა ალგებრის გაკვეთილს მშობლები ესწრებიან?" ღიმილით თქვა გ. კაჩალინმა

ალგებრის გაკვეთილს მშობლები არ ესწრებიან, მაგრამ სპორტულ მეცადინეობაზე დასწრება სანახაობაში მონაწილეობაა. ეს მშობლის ერთგვარი დაინტერესებაც არის და ბავშვის წახალისებაც.

სპორტული სექცია და ფიზკულტურის გაკვეთილი ჩემპიონთა ინკუბატორი არ არის, ჩემპიონობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. არ არის სწორი ის აზრი, თითქოს ერთი ჩემპიონის გაზრდა სჯობს ასი პირველთანრიგოსნის მომზადებას. როცა ყველა სპორტში იქნება ჩაბმული, ის ჩემპიონიც მათ შორის გაიზრდება უცილობლად. ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი სპორტსმენი დაიკარგა სწორედ საერთო სპორტული კულტურის უქონლობის გამო.

2 ნოემბერს გაზეთ „თბილისში" საუბარი გვქონდა ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაზე. კერძოდ, ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ როგორმე უნდა მოვახერხოთ შექმნა „შტატგარეშე" ენთუზიასტთა ინსტიტუტისა, რომელიც სკოლის დახმარებას იკისრებს. მუსიკოსები, მხატვრები, ხელოვნების მცოდნეები, ლიტერატორები მოვლენ სკოლაში, ესაუბრებიან ბავშვებს, მოძებნიან მათთან საერთო ენას, თემებს. ეს მასწავლებლის დუბლირება კი არ უნდა იყოს — მასწავლებლის საქმეს ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გააკეთებს— ეს უნდა იყოს სკოლასთან ურთიერთობის ფორმა. და განა ეს მხოლოდ ესთეტიკურ აღზრდას ეხება?

ეს პირველ ყოვლისა სპორტს, ფიზკულტურას ესაჭიროება. მარტო თბილისში 188 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 43 საერთაშორისო კლასის ოსტატი, 20 ოლიმპიური ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების 36 პრიზიორი, 76 საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი და 178 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ცხოვრობს.

წესით, არც ერთმა მათგანმა არ უნდა თქვას უარი, რომ კვირაში ორი, სამი საათი გამონახოს ბავშვებისთვის (თუნდაც თავისი შვილის სკოლისთვის) და რომელიმე სპორტულ სექციას უხელმძღვანელოს. აბა წარმოიდგინეთ, სკოლის შესასვლელში გამოკრულია ასეთი აფიშა: „ყურადღება! ყურადღება! ...ჩვენს სკოლაში ყალიბდება ჭიდაობის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ესა და ეს. ჩაწერა თავისუფალია, მიმართეთ ფიზკულტურის მასწავლებელსა და კომკავშირის კომიტეტს!"...

წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნება სკოლაში, ყველამ გაიხსენეთ თქვენი მოწაფეობა და წარმოიდგინეთ!..

განა ამის მოწყობა ასე ძნელია?

„ეზოს ბიჭები" ხომ დიასახლისთა დავის მუდმივი თემაა. რა იქნება სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ყოფილმა ცნობილმა ათლეტმა, იმ სახლში რომ ცხოვრობს, იკისროს ამ ბიჭების „თავკაცობა"?

ეზოს ფეხბურთმა თავის დროზე ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი შეგვძინა. ახლა საბურთაო ადგილები თანდათან შემცირდა. ამიტომ ბიჭებს ახლა უნდათ მეტი პატრონი და ხშირად მფარველიც კი. ასეთი „ეზოს სპორტსკოლა" ბევრს გაახალისებს და სარგებლობასაც ბევრს მოიტანს...

რაც შეეხება „ჭამის სნეულებას" — სიმსუქნეს, რომელიც ასე „გვიტევს", მას მხოლოდ ამ გზით დავამარცხებთ. მხოლოდ ამ გზით დამყარდება სრული ჰარმონია ჯანსაღ სხეულსა და ჯანსაღ სულს შორის.

ამ გზით მოვლენ ახალი პაიჭაძეები, ბალავაძეები, კარტოზიები, კიკნაძეები, ბერიაშვილები, თედიაშვილები, ფხაკაძეები, გაფრინდაშვილები, სხვანი და სხვანი...

ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენებმა მთელი მსოფლიო გაიდარბაზეს. შორსაა ახლა გასული ჩვენი ბიჭების სახელი. ამ სახელს მოვლა უნდა. ამისთვის პირველყოვლისა ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებამ უნდა მოაწყოს „ლაშქრობა" სკოლისკენ!.. ბავშვებთან, ბავშვებთან!.. საამისოდ დრო აუცილებლად უნდა მოიძებნოს, დღესვე, ახლავე. რადგან ეს საქმე არის სადღეისო და სამერმისო...

რევაზ დვალიშვილი.

რაგბი

სსრ კავშირის თასზე

● ●

„ლოკომოტივის" მეტოქე ცნობილია

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 12 ნოემბერი.

ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — „პოლიტეხნიკი" (კრასნოიარსკი) 51:6 (25:3).

სსა: ა. გრაჩოვი, მირონოვი, მგელაძე, ტიხომიროვი, პროშინი, კულიკოვი, ფიოდოროვი, ალიოშინი (ჟერებკო), ვლადიმიროვი, კანუნიკოვი, კუდრიაშოვი, თუშიშვილი, შაპოვალოვი (ნაპოლნოვი), სემიონიხინი, კარპუხინი (სავინი).

„პოლიტეხნიკი": ტელნიაკოვი, ერაშჩუკი, რეჩნიოვი, მიაჩინი, ბიკოვი (ვ. გრაჩოვი), სუპრინოვი, ხერულინი, ნაუმენკო, პროხოროვი, საბინინი, ივაშკინი, ჩაშჩინი, კოკოვი, კარპოვი, რიაბცევი.

მსაჯი ვ. მასლოვი (მოსკოვი).

სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა — სსა-მ ნახევარფინალისკენ მიმავალ გზაზე ჯერ ალმაათის „ბურევესტნიკი" დაამარცხა ანგარიშით 7:3, შემდეგ კი ყაზანის გუნდს მოუგო — 16:9.

„პოლიტეხნიკმა" უფრო იოლი გზა განვლო. მერვედფინალში მისი მეტოქე, თბილისის „ივერია" სათამაშოდ არ გამოცხადდა, მეოთხედფინალში კი კრასნოიარსკელებმა მოსკოვის „ავტომობილისტს" სძლიეს — 18:10.

კრასნოიარსკის კოლექტივი საკავშირო პირველობის პირველი ლიგის გუნდია, რომელიც წლეულს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოდა. ამიტომ საკავშირო თასის გათამაშებაში მისი ნახევარფინალამდე მისვლა შემთხვევითი არ იყო (ამაში „ივერიის" უარიც დაეხმარა). მაგრამ ის, რაც ამ მატჩში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ხდებოდა, „პოლიტეხნიკს" მაინცდამაინც კარგად ვერ ახასიათებს.

ამჯერად „პოლიტეხნიკი" ფაქტიურად გაგარინელთა უხეირო სპარინგ-პარტნიორი გამოდგა, რომელსაც, მოკრივეთა ენაზე რომ ვთქვათ, უნარი არ შესწევდა რინგზე ბოლომდე გაეძლო.

მფრინავთა გუნდი პირველივე წუთიდან დაეპატრონა მოედანს და თუ ანგარიში უფრო დიდი არ იყო, ამაში ისევ გაგარინელები არიან დამნაშავე.

ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ ფინალის საგზური მოპოვებული ჰქონდათ და თავი მაინცდამაინც აღარ შეუწუხებიათ, მხოლოდ ხანდახან, ალბათ სიცივის შიშით თუ გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე, „პოლიტეხნიკის" შეუპოვრობას იოლად სძლევდნენ, მეტოქის „ქალაქს" იღებდნენ და ისევ წყნარდებოდნენ...

როგორც ამ თამაშმა დაგვარწმუნა, საბჭოთა ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი ახლა საუკეთესო სპორტულ ფორმაშია და მასთან მთელი ძალით ბრძოლა იქნება საჭირო.

თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტებმა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩები და თასის გათამაშების შეხვედრები ძალიან კარგად ჩაატარეს. ფინალის წინ ისინი შეუპოვარი ბრძოლისთვის არიან განწყობილი.

ო. ბელაშვილი.

„სლავა" — უელსში

საბჭოთა გუნდებიდან რეგბის სამშობლოს პირველი ეწვია სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის „ვერცხლის" პრიზიორი — მოსკოვის „სლავა", რომელიც აქ უელსის საკლუბო გუნდებთან სამ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავს.

„სლავამ" პირველი მატჩი უკვე ჩაატარა ქ. რიმნის ამავე სახელწოდების გუნდთან. შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 10:8 (10:0).

IV მემორიალი
ვახტანგ ქარსელაძის
თბილისი-76

VI ტური. კ. ლერნერი (ოდესა) — ა. ბოკუჩავა 1:0, ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი) — დ. გედევანიშვილი 0,5:0,5, გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ბ. გურგენიძე 1:0, დ. ჯანოევი — რ. ხოლმოვი (მოსკოვი) 0,5:0,5, ი. ანიკაევი (ნოვოკუზნეცკი) — ი. ჩიქოვანი 0,5:0,5, ა. მიხალჩიშინი (ლვოვი) — გ. ზაიჩიკი 0:1. ზ. მიქაძე — ე. უბილავას პარტია გადაიდო. თ. გიორგაძის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა ზ. სტურუასთან.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ი. ჩიქოვანი — 3,5 ქულა, ე. უბილავა — 3 ქულა და 2 გადადებული პარტია, გ. კუზმინი — 3 (1), ა. ლუტიკოვი — 2,5 (2), ბ. გურგენიძე — 2,5 (1).

ჭეშმარიტების ძიებაში

ვ. ქარსელაძის მემორიალს სხვა დიდ ტურნირებთან შედარებით ერთი თვალსაჩინო უპირატესობა აქვს: შესარჩევი შეჯიბრება არ არის. ამ ბოლო ხანს თითქმის ყველა ტურნირი შერჩევითი ხასიათისაა, რაც შესამჩნევად ზღუდავს მოჭადრაკეთა შემოქმედებას, ანელებს თამაშისგან მინიჭებულ სიამოვნებას. ამიტომაც მემორიალის მონაწილენი თავისუფლად, თამამად მიილტვიან მძაფრი ბრძოლისკენ. ეს კი შეჯიბრებას ემხსა და ლაზათს მატებს.

დიდოსტატი გურგენიძე შემოქმედებითი ყაიდის მოჭადრაკეა. იგი მუდამ ახალი, გაუკვალავი გზების ძიებაშია. ბევრ სადებიუტო სისტემაში (სიცილიურ, კარო-კანის, უფიმცევისა და სხვა დაცვებში) მას საკუთარი გაგრძელებები აქვს. მემორიალში გურგენიძე უფრო თამამად იყენებს შინ დამუშავებულ ვარიანტებს.

კუზმინთან ქართველმა დიდოსტატმა საინტერესო რამ ჩაიფიქრა: ისე გამოეყენებინა უმწვავესი ლატვიური გამბიტი, რომ მეტოქეს თეორიაში კარგ გაგრძელებად აღიარებული სვლების საშუალება არ ჰქონოდა. მან გამბიტს კარო-კანის დაცვის იდეა „შეუზავა", მაგრამ კუზმინმა ამ ჩანაფიქრს „აქილევსის ქუსლი" მონახა. ინიციატივის შესანარჩუნებლად გურგენიძემ ფიგურა შესწირა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია: კუზმინი თამაში ენდშპილში გადაიყვანა და ზედმეტი ფიგურა შეინარჩუნა.

სწორედ ასეთი პარტიის შესახებ ამბობენ: ჭეშმარიტების ძიება მსხვერპლს მოითხოვსო. რა თქმა უნდა, ეს წაგება გურგენიძეს შემდგომ ძიებაზე ხელს ვერ აიღებინებს.

შემოქმედებითი თვალსაზრისით საინტერესოდ თამაშობს ახალგაზრდა მოჭადრაკე გედევანიშვილი. მას გარკვეული მიზანი აქვს: სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულოს, რასაც მთლიანად შემტევი, გაბედული თამაშით ცდილობს. ლუტიკოვთან გედევანიშვილმა რთულ, სიცილიურ დაცვაში ისეთი პოზიცია ააგო, რომ დიდოსტატი [illegible]. უპირატესობის გზები არ ჩანდა და თითქოს მან თავად [illegible].

ზაიჩიკი ოსტატურად გამოიყენა ენდშპილში მიხალჩიშინის ფიგურათა სავალალო განლაგება. ბოკუჩავას ლერნერთან [illegible] ბისას რაღაც გამორჩა და უფიგუროდ დარჩა. მიქაძემ პაიკი მოუგო უბილავას, მაგრამ შეხვედრა მთელი სალამო გაგრძელდა. ანიკაევმა და ჩიქოვანმა ერთმანეთის წინაშე იმდენი პრობლემა დააყენეს, რომ ფიგურებით სავსე პოზიციაში, როცა ნამდვილი ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, ორივე ნაკლებ [illegible] იგრძნეს. საბოლოოდ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

სწორად ამოხსნეს

„ლელოს" 12 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ქ. ბეკერის (აშშ) და დ. გურგენიძის (საქართველო, ს. ჩილეური) ერთობლივი ეტიუდი ასე ამოიხსნება: 1. მფf8 მf6 2. მფf7 მg8 3. eშ8 მe7 4. მფ:e7 მფg8 5. მფe6 მფh8 6. მf8! მოიგებს.

ეტიუდი ამოხსნეს მ. რუხვიაშვილმა (ამბროლაური, ს. ურავი), მ. ჯღამაძემ (ცხაკაია), ტ. და ო. ზამულაძეებმა (ორთაჭალა — თბილისი), მ. ქვლივიძემ (საგარეჯო) და ზ. ქაქუთიამ (ზუგდიდი).

ქართული ბიბლიოთეკა

ნუ ავჩქარდებით...

დასასრული

ტრივიალური მიზეზი აქვს (ტრადიციები, გამოცდილება, ძველი ნაცნობობა და ა. შ.), რომელთა შორის ძირითადი, ჩვენი აზრით, სიუჟეტის დრამატიზმით აიხსნება. 30 წუთის განმავლობაში წინ სტუმრები იყვნენ, ბოლო 10 წუთი დინამოელებმა მოიგეს და საბოლოო ჯამში გამარჯვებაც მათ დარჩათ. ასეთი იყო სიუჟეტური სქემა, მატჩის მშრალი ქრონომეტრაჟი, რომლის უკან იმალება მძაფრი და მომხიბლავი ბრძოლის საათ-ნახევარი.

პირველ ტაიმში „ჟალგირისის“ ხუთეული იმ ავტომატურ მანქანას ჰგავდა, რომელსაც შეცდომა არ მოსდის. ზუსტი გადაცემები, ზუსტი სროლები, ფარქვეშ ეფექტური ბრძოლა — კალათბურთიც თითქოს სხვა არაფერია, თუ არა ამ კომპონენტების ჯამი. მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ კალათბურთს ადამიანები თამაშობენ და არა ავტომატები, ადამიანებს კი ყოველთვის ერთნაირად მობილიზებული ყოფნა არ ძალუძთ. რაღაც მომენტში „ჟალგირისის“ აწყობილ მექანიზმს უსათუოდ უნდა გასჩენოდა ბზარი, ვინაიდან მისი მეტოქე, ეტყობოდა, გულხელდაკრეფილი არ იყო.

როგორც ვთქვით, თამაშის პირველი ნახევარი კაუნასელებმა წმინდად მოიგეს, თუმცა ამაში მათ დინამოელთა სპორტული უიღბლობაც წაეხმარა. 25-ე წუთამდე „ჟალგირისი“ ასე თუ ისე ინერციით მიიკვლევდა გზას მიზნისკენ. მაგრამ დადგა დრო, როცა მანამდე საათის მექანიზმივით აწყობილ ხუთეულს ნერვებმა უმტყუნა. და მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში სხვაობა ჯერ კიდევ დიდი იყო (ერთ მომენტში მან 14 ქულას მიაღწია), ერთი ორი სროლა ლინკიავიჩუსმა მიზანს ააცდინა, ერთი ორი გადაცემა უზუსტო გამოდგა, მერე კი ფარქვეშაც გათანაბრდა ძალები. სწორედ ამ დროს „დინამომ“ მყარი ნიადაგი იგრძნო ფეხქვეშ და წამოიწყო ხუთწუთიანი გააფთრებული შტურმი, რომელმაც ერთი ხელის დაკვრით არია კაუნასელთა დაცვის რიგები.

ამ კულმინაციურ მომენტში 6 მეტად საჭირო ქულა მოუტანა გუნდს ჯგერენაიამ. მოწინააღმდეგის ბანაკში შექმნილი პანიკა უფრო გაღრმავდა ბიჭიაშვილის ზუსტი სროლების შედეგად და, რომ იტყვიან, საქმეც გაკეთდა. ასე განიცადა „ჟალგირისმა“ ჯერ ფსიქოლოგიური, შემდეგ კი საერთოდ მარცხი ამ კალენდარულ შეხვედრაში.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ მატჩიდან? ჩვენი აზრით, დასკვნებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. პირველი შეხვედრა არასდროს არ იძლევა საზრდოს ზუსტი და ამომწურავი მსჯელობისთვის, ვინაიდან მას მუდამ თან ახლავს სტარტისთვის დამახასიათებელი ვნებანი. თუმცა ორმა გარემოებამ მაინც მიიქცია ყურადღება. ერთი დინამოელთა ტრადიციული „აქილევსის ქუსლია“ — დაცვა, მეორე — სისუსტე „საჰაერო ბრძოლაში“. პირველ ნაკლს კარგა ხანია შეჩვეული ვართ, მეორე კი მოულოდნელი აღმოჩნდა და გულწრფელად ვფიქრობთ, ქრონიკულ სენად არ გადაიქცევა. მით უმეტეს, რომ ბრძოლის მიწურულს „დინამომ“ აღადგინა სტატუს-კვო ამ უბანზეც.

ორიოდე კეთილი სიტყვა უნდა ვთქვათ კალათბურთის გულშემატკივრებზეც, რომლებმაც, ფეხბურთის ზოგიერთი მოყვარულისგან განსხვავებით, იციან რა დიდი მნიშვნელობა აქვს საყვარელი გუნდის გამხნევებას (ვიმეორებთ, გამხნევებას და არა ლანძღვა-გინებას) მძიმე წუთებში. გულშემატკივრობა მართლაც დიდებული და საამაყო საქმეა, ოღონდ, გულშემატკივრობა გვწამს მხოლოდ ჯანსაღი, გონივრული და ზომიერი.

ნ. გუგუშვილი.

• • •

სურათზე: „საჰაერო ბრძოლა“.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

თასის მფლობელი ბრძოლას განაგრძობს

კლასიკურ ჭიდაობაში ევროპის თასის გათამაშება კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მასობრივი ასპარეზობაა. საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლა სხვადასხვა ქვეყნის გუნდების „საშინაო“ დავით იწყება და მხოლოდ ეროვნული თასების მფლობელებს ეძლევათ გადამწყვეტ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება.

შარშანწინ თასი თბილისის „დინამოს“ კოლექტივმა მოიგო (შარშან, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წელს, გათამაშება არ გამართულა), მოიგო უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში. მაშინ თბილისის დინამოელებმა კონტინენტის თასზე შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება საკავშირო თასის გათამაშების ფინალურ შეხვედრაში კიევის გუნდის დამარცხებით მოიპოვეს.

წლეულს გუნდი უფროსი მწვრთნელის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის გ. დათიაშვილის ხელმძღვანელობით გულმოდგინედ ემზადებოდა მოპოვებული ჯილდოს შესანარჩუნებლად.

დინამოელთა კოლექტივის შარშანწინდელ შემადგენლობას რამდენიმე წევრი გამოაკლდა. მათი ადგილი დაიკავეს ახალგაზრდებმა — 18 წლის მ. კუხიანიძემ, 19 წლის მ. ხუხუამ, 20 წლის თ. წინწალაშვილმა და ი. ჯუღელმა. ოთხივე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია, მაგრამ შედარებით გამოუცდელობას მათთვის ხელი არ შეუშლია. ახალგაზრდები გამოცდილ ათლეტებთან — ვ. ბლაგიძესთან, ჯ. მეგრელიშვილთან, ვ. ბაგაევთან, ე. მაჩაიძესთან, თ. აფხაზავასთან, გ. დონდუზაშვილთან და მ. სალაძესთან ერთად თავს არ ზოგავენ თასის შესანარჩუნებლად.

მართალია, საპატიო ჯილდოს საბოლოო ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ ერთი ცხადია: თბილისის „დინამო“ მის დათმობას არ აპირებს. ბრძოლის გაგრძელების უფლება მან ახლახანს ტიუმენში დამთავრებულ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის გათამაშებაში გამარჯვებით მოიპოვა.

ტიუმენში თბილისელებს კონტინენტის მთავარ ჯილდოს ულიანოვსკის, კიევის, ტალინის, ალმა-ათის, ერევნის, კიროვისა და მასპინძელთა ძლიერი კოლექტივები ეცილებოდნენ. ეს ის გუნდები არიან, რომლებმაც „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გუნდურ ჩემპიონატში მაღალი ადგილები დაიკავეს.

მოასპარეზენი თავიდანვე ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. თბილისელებთან ერთად ქვეჯგუფში მოხვდნენ მათი კიეველი, ტალინელი და ულიანოვსკელი კოლეგები, სხვებმა კი მეორე ქვეჯგუფი შეადგინეს. ქვეჯგუფებიდან 2-2 უძლიერესი ქმნიდა ფინალურ ოთხეულს, რომელსაც ევროპის თასის ერთადერთი საგზური წრიულ შეხვედრებში უნდა გაეთამაშებინა.

— ჩვენი კოლექტივი ასე კარგად მომზადებული არც ერთ ტურნირს არ შეხვედრია — ამბობს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჯემალ მეგრელიშვილი, — გუნდის ყველა წევრს კარგად გვქონდა შეგნებული, რაოდენ დიდი ამოცანა დაგვეკისრა. ვიცოდით, რომ თასის მფლობელთან ყველა ძალღონის დაუზოგავად იბრძვის.

სულ ჩვენმა ბიჭებმა ტიუმენში ხუთი მატჩი გამართეს და ერთი ბრძოლაც არ წაუგიათ. ქვეჯგუფში მათ პირდაპირ გაანადგურეს კიეველი „კლასიკოსები“ — 32:4. მერე თბილისის დინამოელებმა ჯერ ტალინელებს სძლიეს ანგარიშით 23:7, შემდეგ ულიანოვსკელებს — 28:10, მაგრამ უძლიერესთა კვარტეტში ამ უკანასკნელთა გუნდთან ერთად შევიდნენ.

მეორე ქვეჯგუფში ყველას ალმა-ათისა და მასპინძელთა კოლექტივებმა აჯობეს. მაშასადამე, თბილისელებს ახლა ეს გუნდები უნდა დაემარცხებინათ. და დაამარცხეს კიდეც ერთნაირი ანგარიშით — 28:12.

ცხადია, თბილისელთა მთელი გუნდი ერთნაირი მონდომებით ჭიდაობდა, მაგრამ მეგრელიშვილს მაინც ვკითხე, განსაკუთრებით ვის გამოყოფდით-მეთქი.

— სპეციალისტებმა ვახტანგ ბლაგიძე (52 კგ) გამოყვეს და საგანგებო პრიზიც მიაკუთვნეს, რადგან ხუთივე მეტოქე ვადამდე დაამარცხა და ამისთვის ყველაზე ნაკლები დრო დასჭირდა, — მოგვიგო მან.

— ქების ღირსად მიმაჩნია, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი მიხეილ სალაძე, რომელიც გუნდის ინტერესებისთვის 100 კილოგრამიდან მძიმე წონაში გადავიდა და აქ დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრების წევრი, რსფსრ-ს მრავალგზის ჩემპიონი, ულიანოვსკელი ალექსანდრე სელიევი. ულიანოვსკელი სპორტსმენი პასიურობისთვის სარბიელიდან მოხსნეს. სალაძემ სხვა შეხვედრებშიც ძალიან კარგად იჭიდავა.

— ჩემი აზრით, ასევე ქებას იმსახურებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ედიშერ მაჩაიძეც. საერთოდ იგი 68 კგ წონითს კატეგორიაში ასპარეზობს, ტიუმენში კი ზედა წონაში გამოდიოდა და ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო, — კმაყოფილი ღიმილით დასძინა ჯემალმა.

— რა გეგმები აქვს გუნდს მომავლისთვის?

— ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ კონტინენტის თასი. ბრძოლა ძნელი იქნება, მაგრამ გამარჯვებაც სწორედ მაშინ არის განსაკუთრებით ხასიამოვნო, როცა ღირსეულ მეტოქესთან მოიპოვებ...

• **ო. ივლოშვილი.**

* * *

სურათზე: თბილისის დინამოელები. სხედან (მარცხნიდან) — მ. სალაძე, გ. დონდუზაშვილი, თ. აფხაზავა, მ. კუხიანიძე; დგანან — ვ. ბლაგიძე, ე. მაჩაიძე, მ. ხუხუა, თ. წინწალაშვილი, ჯ. მეგრელიშვილი და ი. ჯუღელი.

პროფკავშირების სპარტაკიადა

უმიზეზოდ არ გვიხსენებია...

თბილისში, „განთიადის“ დარბაზში ორ დღეს გაგრძელდა ძალოსანთა შეჯიბრება.

თავიდანვე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა „განთიადისა“ და „კოლმეურნეს“ გუნდებს შორის, რადგან რესპუბლიკის თითქმის ყველა საუკეთესო ძალოსანი სწორედ ამ ორ სპორტულ საზოგადოებაშია ძირითადად თავმოყრილი.

შეჯიბრების პირველ დღეს საგრძნობლად დაწინაურდნენ სოფლის ძალოსნები. მათ ყველას აჯობეს პირველ სამ წონითს კატეგორიაში და ქულათა მნიშვნელოვანი მარაგიც შექმნეს, მაგრამ ეს საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მეორე დღეს წარმატებით იასპარეზეს განთიადელებმა. მათ ექვს წონითს კატეგორიაში გაიმარჯვეს და გუნდური პირველობაც მოიპოვეს. III ადგილი ხვდათ „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს, IV — „ლოკომოტივს“, V — სპარტაკელებს.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: უმჩატეს წონაში — რ. სიმოვანიანმა — 177,5 კგ, მჩატე წონაში — ს. კონდახჩიანმა — 180 კგ, ქვემსუბუქში — თ. მაისურაძემ (ყველა — „კოლმეურნე“) — 210. დანარჩენ წონითს კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ განთიადელები: ლ. ყავრიშვილი (230 კგ), ნ. პაპიძე (265 კგ), ვ. ადამაძე (255 კგ), გ. ქელეხსაევი (252,5 კგ), თ. ბაქანიძე (260 კგ) და ზ. ნადირაშვილი (280 კგ).

ახალგაზრდა ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატიდან დაბრუნებულ სპორტსმენებს ს. კონდახჩიანს, ნ. პაპიძეს, გ. თინაშვილს, ბ. ჩიოტაშვილსა და ზ. ნადირაშვილს ცუდად არ უასპარეზიათ, მათი შედეგები შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო. შეიძლებოდა, მაგრამ...

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო იმ მიზეზებს, რაც აძნელებს თბილისში ძალოსანთა შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარებას. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი ერთადერთია, სადაც ტურნირების გამართვა შედარებით მაღალ დონეზე შეიძლება, მაგრამ ძალოსნებისთვის იქ მოხვედრა იშვიათი ფუფუნებაა. მათ სასპარეზოდ უმეტესად საწვრთნელ დარბაზებს უთმობენ, რომლებიც არც ზომითა და არც აღჭურვილობით ამ მიზნისთვის შესაფერი არ არის. ასე იყო ახლაც — „განთიადის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ძალოსნობის დარბაზი ასეთი მასშტაბის ღონისძიებებისთვის არ არის გათვალისწინებული: კედელთან მიდგმული ფიცარნაგი, ფოლადის შტანგების გამაყრუებელი ხმაური, რასაკვირველია, ხელს ვერ შეუწყობს სპორტსმენებს მაღალი შედეგების მოპოვებაში.

ფოლადის შტანგები უმიზეზოდ როდი ვახსენეთ. ახლა ვიღა ასპარეზობს ასეთი შტანგებით? ნუთუ ასე გაგვიჭირდა ერთი ან ორი რეზინისდისკოიანი შტანგის შეძენა, რომ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ასეთი იარაღით ასპარეზობა ჩვენი ძალოსნებისთვის უცხო ხილი არ იყოს?

უ. ჭირაქაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, შეჯიბრების მდივანი.

შოთა შავგულიძის სახელობის პრიზზე

დღეს იწყება გამოჩენილი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა შავგულიძის სახელობის თასის ტრადიციული ტურნირი, რომელშიც საქართველოს II ლიგის გუნდები გამოდიან.

წლევანდელი გათამაშების მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ორ ქვეჯგუფად. პირველში გამოდიან: „დინამო“ (ბათუმი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „მეტალურგი“ (რუსთავი), დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, თბილისის ჭაბუკთა ნაკრები; მეორეში — „დილა“ (გორი), „დინამო“ (ზუგდიდი), „მაღაროელი“ (ჭიათურა), თბილისის ახალგაზრდული ნაკრები, აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები.

ქვეჯგუფებში თამაშები მოეწყობა ერთ წრედ. ტურნირი გაიმართება თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე 14-19 ნოემბერს, მატჩები ჩატარდება 11-დან 19 საათამდე. ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები 20 ნოემბერს ფინალურ მატჩში ითამაშებენ ერთმანეთთან თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე.

მძლეოსანთა ახალი შეჯიბრება

— მსოფლიო თასისთვის შეჯიბრება უთუოდ 1977 წლის მძლეოსნური სეზონის მთავარი მოვლენა იქნება, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის ახალმა პრეზიდენტმა, ინგლისელმა ა. ჰოლდმა.

ჰოლდი, წარსულში ცნობილი სპორტსმენი და გამოცდილი მწვრთნელი, პრეზიდენტად აირჩიეს ახლახან რეიკიავიკში გამართულ ასოციაციის კონგრესზე.

— ახალ შეჯიბრებაში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ევროპას ეყოლება (3 გუნდი), რაც ჩვენს კონტინენტზე სპორტის ამ სახეობის მაღალი დონის აღიარებაა, — თქვა პრეზიდენტმა. — ასპარეზობაში, რომელიც დიუსელდორფში ჩატარდება 2-4 სექტემბერს, მონაწილეობას მიიღებს 1977 წლის აგვისტოში კონტინენტის თასის გათამაშების ფინალში გასული ორი ეროვნული გუნდი. გარდა ამისა, სარბიელზე გამოვა ევროპის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული ნაკრები.

ამავე დროს, ფინალში იასპარეზებს ამერიკის ორი გუნდი — შეერთებული შტატების კოლექტივი და სხვა ამერიკული სახელმწიფოების საუკეთესო სპორტსმენთა ნაკრები. სარბიელზე გამოვლენ, აგრეთვე, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანიის ნაკრები გუნდები.

— მე ვფიქრობ, — განაგრძო ჰოლდმა, — შეჯიბრება ტრადიციად უნდა ვაქციოთ, რამდენადაც, როგორც ცნობილია, მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატები არ ტარდება. მაგრამ შემდეგში მსოფლიო თასისთვის ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ საუკეთესო ეროვნულმა გუნდებმა და არა კონტინენტების ნაკრებმა კოლექტივებმა.

გარდა მსოფლიო თასისა, ევროპის მძლეოსნებს გაისად უამრავი მატჩი და სხვადასხვა მასშტაბის საინტერესო შეჯიბრება ელით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონტინენტის ასპარეზობათა კალენდარი მეტისმეტად გადატვირთული იქნება. სტარტების დაგეგმვის დროს ჩვენ ვალდებული ვართ ვიფიქროთ არა მარტო ვარსკვლავებზე, არამედ იმ პერსპექტიულ სპორტსმენებზეც, რომლებსაც ოსტატობის მწვერვალებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ.

სწორედ ასეთი პერსპექტიული, მზარდი ათლეტებისთვის ჩატარდება გაისად დონეცკში ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი, კონტინენტის საზამთრო პირველობა სან-სებასტიანში (ესპანეთი), რომელშიც, ჩვენი ვარაუდით, ყველა ჩემპიონი და რეკორდსმენი მიიღებს მონაწილეობას. გათამაშდება, აგრეთვე, „სანუგეშო თასი“ იმ გუნდებისთვის, რომლებიც ევროპის თასის ფინალში ვერ გავლენ. მოეწყობა სხვა შეჯიბრებებიც.

1980 წლის ოლიმპიადის მძლეოსნურ შეჯიბრებათა შესახებ საუბრის დროს ჰოლდმა განაცხადა:

— დარწმუნებული ვარ, 1980 წლის ოლიმპიური თამაშები მოსკოვში მაღალ დონეზე ჩატარდება. საბჭოთა მაყურებლის ობიექტურობა საყოველთაოდ ცნობილია, ეს კი დიდად შეუწყობს ხელს ასპარეზობაზე სასურველი ატმოსფეროს შექმნას. საბჭოთა არბიტრები შესანიშნავი სპეციალისტები არიან და სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში მსაჯობის მდიდარი გამოცდილებაც აქვთ.

ტ. კოზლოვა,
(საკდესის კორ.).



Světový tenis

Fyzická připravenost je silnou zbraní sovětského mistru Alexandra Metreveliho

druhého hráče světového žebříčku a wimbledonského vítěze M. Santanu. V roce 1968 byl semifinalistou na mezinárodním mistrovství Itálie v Římě a finalistou Wimbledonu ve smíšené čtyřhře s O. Morozovovou; předtím vyřadili silné páry Gonzales—Casalsová a Stolle—Jonesová. V roce 1970 byl již potřetí finalistou dvouhry na mezinárodním mistrovství Itálie a s Morozovovou opět postoupili do finále smíšené čtyřhry ve Wimbledonu. V daviscupových utkáních toho roku neprohrál ani jediné utkání. V roce 1971 vyhrál tři australské turnaje: mistrovství západní Austrálie, Tasmánie a Viktorie. V roce 1972 byl semifinalistou mezinárodního mistrovství Austrálie a Francie a zvítězil na otevřeném mistrovství jižní Austrálie.

K výčtu úspěchů Metreveliho přistupuje trojnásobný titul amatérského mistra Evropy v roce 1970, 1971 a 1973 a mistrov-

წიგნის თარო

„მსოფლიო ჩოგბურთი“

ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობა „ოლიმპიამ“ გამოსცა ჩეხი ჟურნალისტის ინდრიშ ჰოხმის წიგნი „მსოფლიო ჩოგბურთი“. მასში ასახულია მსოფლიო ჩოგბურთის განვითარების ეტაპები პირველი ნაბიჯებიდან თითქმის დღევანდლამდე, დაბეჭდილია როგორც კორიფეების, ძველი თაობის წარმომადგენლების, ისე საუკეთესო თანამედროვე ოსტატთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, მათი გამოსვლების სტატისტიკური მონაცემები. ეს ჩოგბურთელები არიან, მაგალითად, ამერიკელები უილიამ ტილდენი, დონალდ ბაჯი, რიკარდო გონსალესი, ფრანგები ჟან ბოროტრა, ჰენრი კოშე, ჟან რენე ლაკოსტა, ინგლისელი ფრედერიკ ჯონ პერი, საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, ავსტრალიელები როდნი ჯორჯ ლეივერი, ჯონ ნიუკომბი, როი სტენლი ემერსონი, საბჭოთა სპორტსმენები ალექსანდრე მეტრეველი და ოლღა მოროზოვა, რუმინელი ილიე ნასტასე, ამერიკელები ჯიმი კონორსი, არტურ ეში, ბილი ჯინ კინგი, შვედი ბიონ ბორგი, ჩეხი იან კოდეში და სხვები.

ავტორი მკითხველს აცნობს უიმბლდონის ტურნირში და სხვა უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებში გამარჯვებულებს, ასპარეზობათა თარიღებს, მოჰყავს მსოფლიო უძლიერესი ათეულები 1913-დან 1973 წლამდე.

წიგნში რამდენიმე განყოფილებაა, რომლებშიც ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ამა თუ იმ დროის გამოჩენილ ოსტატთა ცხოვრების გზას. ერთ-ერთ ასეთ განყოფილებაში — „დასავლეთის საჩოგბურთო ჰეგემონია დაამხეს“ — საუბარია იან კოდეშზე, ალექსანდრე მეტრეველსა და ილიე ნასტასეზე.

ჩვენი თანამემამულისადმი მიძღვნილი ქვეთავი — „ასეთია ალექსანდრე მეტრეველი“, მკითხველს აცნობს მისი სპორტული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მეტრეველმა თამაში თბილისში დაიწყო მწვრთნელ არამ ხანგულიანის ხელმძღვანელობით...

ვფიქრობთ, ჩოგბურთის მოყვარულები გულგრილნი არ დარჩებიან ამ საინტერესო წიგნის მიმართ.

მაღალი წოდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯგუფს. მათ შორის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის მწვრთნელს, დიდოსტატ **ა. გიპსლისს** (რიგა, შეიარაღებული ძალები) და მშვილდოსანთა მწვრთნელს **შ. ჯაშიაშვილს** (ქუთაისი, „ბურევესტნიკი“).

მესამეც ცნობილია

დამატებით მატჩში კრივოი როგის „კრივბასმა“ სძლია პიატიგორსკის „მაშუკს“ ანგარიშით 3:0 და პირველი ლიგის საგზური მოიპოვა. მომავალ სეზონში, მის გარდა, პირველ ლიგაში ითამაშებენ ლენინგრადის „დინამოს“ და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ ფეხბურთელთა გუნდები.

ჩემპიონატები, თასები, სიახლეები

ფეხბურთი

ჩეხოსლოვაკია

მორიგ ტურში პრაღის „დუკლამ“ ტეპლიცეში მოუგო ადგილობრივ „უნიონს“ — 2:0. ტრენჩინში „სლავიამ“ (პრაღა) დაამარცხა ადგილობრივი „იედნოტა“ — 5:2. დანარჩენი შედეგებია: „სპარტაკი“ (ტრნავა) — „სლოვანი“ (ბრატისლავა) 2:0, „ინტერი“ (ბრატისლავა) — „ზბროიოვკა“ (ბრნო) 3:0, „სპარტა“ (პრაღა) — „შკოდა“ (პლზენი) 2:1, „კოშიცე“ — „ფრიდეკ-მისტეკი“ 0:0, „ბანიკი“ (ოსტრავა) — „ლოკომოტივი“ (კოშიცე) 3:1, „ბოჰემიანსი“ (პრაღა) — „ჟილინა“ 1:0.

ლიდერთა სიის სათავეშია პანენკა („ბოჰემიანსი“) — მან 7 გოლი გაიტანა. 6-6 გოლი აქვთ გატანილი ზეგმიულერს („სლავია“) და კროუპას („ზბროიოვკა“).

„დუკლა“	10	23—11	16
„ინტერი“	10	22—10	13
„სლავია“	10	19—9	13

გდრ

IX ტურში დრეზდენის „დინამო“ დამარცხდა ლაიფციგში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ — 1:3. დანარჩენი შედეგებია: „დინამო“ (ბერლინი) — „ხემი“ (ჰალე) 2:1, „ჰანზა“ (როსტოკი) — „უნიონი“ (ბერლინი) 1:0, „ვისმუტი“ (აუე) — „ფორვერტსი“ (ოდერის ფრანკფურტი) 1:0, „მაგდებურგი“ — „კარლ-მარქს-შტადტი“ 1:3, „როტ-ვაისი“ (ერფურტი) — „კარლ ცაისი“ (იენა) 1:0, „შტალი“ (რიზა) — „ზაქსენრინგი“ (ცვიკაუ) 2:1.

9 გატანილი გოლით სნაიპერთა სიას ლიდერობს შტრაიხი („მაგდებურგი“), ხოლო მისი თანაგუნდელი შპარვასერი 6 გოლით მეორე ადგილზეა.

„დინამო“ (დრეზდენი)	9	26—12	13
„დინამო“ (ბერლინი)	9	15—10	11
„კარლ-მარქს-შტადტი“	9	16—12	11

ბულგარეთი

მორიგი ტურის სენსაცია იყო „მარეკის“ (სტანკედიმიტროვი) გამარჯვება სოფიაში „ცსკა-სეპტემვრიისკო ზნამესთან“ — 3:1. „მარეკი“ პროვინციული კლუბია, I ლიგის დებიუტანტიცაა და მიუხედავად იმისა, რომ დიდი შემართებით თამაშობს, საკუთარ მინდორზე არმიელთა დამარცხებას არავინ ელოდა. ამ მოგების შედეგად „მარეკი“ დაწინაურდა.

ბლაგოევგრადში ადგილობრივი „პირინი“ დამარცხდა „თრაკიასთან“ — 1:3. დანარჩენი შედეგები ასეთია: „ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია) — „ბეროე“ 0:0, „სლავია“ (სოფია) — „მინიორი“ (პერნიკი) 1:0, „ბოტევი“ — „აკადემიკი“ (სვიშჩოვი) 2:0, „სლივენი“ — „დუნავი“ (რუსე) 0:0, „ჟსკ-სპარტაკი“ (ვარნა) — „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) 3:1.

8 გატანილი გოლით სნაიპერთა სიას ლიდერობს პეტროვი („მარეკი“).

„მარეკი“	10	18—10	14
„თრაკია“ (პლოვ.)	10	17—11	14
„ბოტევი“ (ვრაცა)	10	15—11	14

უნგრეთი

12 ტურის შემდეგ მტკ (ბუდაპეშტი) 9 ქულით XIV ადგილზეა (ბურთების სხვაობა 17-20). სნაიპერთა სიას 14 გატანილი გოლით ლიდერობს ფაზეკაში („უიპეშტი დოჟა“), ხოლო მეორე ადგილზეა ნილაში („ფერენცვაროში“), რომელმაც 9 გოლი გაიტანა. აი, როგორია ლიდერთა სამეული:

„უიპეშტი დოჟა“ (ბუდაპეშტი)	12	39—17	20
„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი)	12	30—10	18
„ჰალადაში“ (სომბ.)	12	24—13	17

იუგოსლავია

მორიგი ტურის მატჩების შედეგები ასეთია: „ბუდუჩნოსტი“ (ტიტოგრადი) — „რადნიჩკი“ (ნიში) 3:3, „სარაევო“ — „ჰაიდუკი“ (სპლიტი) 3:1, „ველეჟი“ (მოსტარი) — „სლობოდა“ (ტუზლა) 1:0, ოფკ (ბელგრადი) — „ჩელიკი“ 1:0, „რიეკა“ — „ნაპრედაკი“ (კრუშევაცი) 1:0, „ბორაცი“ (ბანია ლუკა) — „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) 3:1, „პარტიზანი“ (ბელგრადი) — „დინამო“ (ზაგრები) 1:0, „ზაგრები“ — „ცრვენა ზვეზდა“ 2:2, „ოლიმპია“ (ლიუბლიანა) — „ჟელეზნიჩარი“ (სარაევო) 1:0.

„ცრვენა ზვეზდა“	11	21—11	18
„რადნიჩკი“	11	18—10	16
„დინამო“ (ზაგრები)	11	15—10	14

„შაბათის სპორტლოტო“

მოსკოვი, 13 ნოემბერი. დღეს აქ გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მე-14 ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

პირველი: 4, 14, 15, 29, 33.
მეორე: 4, 11, 14, 17, 23.

* * *

45-ე ტირაჟის „სპორტლოტოს“ იღბლიანი ციფრები იყო: 2, 17, 31, 35, 36, 44.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. 37). **ვ. ქარსელაძის IV მემორიალი. 14-26 ნოემბერი.** 14 ნოემბერს გაიმართება VII ტური, 15-ში — VIII, 17-ში — IX. დასაწყისი 16 ს. 16 ნოემბერს მემორიალზე დასვენების დღეა.

რეგბი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **დღეს. სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (მოსკოვის ოლქი).** დასაწყისი 16 ს.

კალათბურთი. ლენინის სახელობის დარბაზი. **დღეს. თბილისის საწარმოთა სპორტკლუბების სპარტაკიადის პროგრამით.** დასაწყისი 10 ს.

ავტორალი. მტკვრის მარცხენა სანაპირო (ბარათაშვილის ხიდთან). **დღეს. ახალგაზრდული კლუბის „ამირანის“ პრიზზე.** დასაწყისი 9 ს.

ფრენბურთი. 14-15 ნოემბერი. ნ. კურჩენკოს სახელობის თასის გათამაშება. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მეორე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, აგრეთვე, ნ. კურჩენკოს თასის მფლობელი კრასნოიარსკის გუნდი. ქალები იასპარეზებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო ვაჟები ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზებში. დასაწყისი 14 ნოემბერს 10 ს. 15 ნოემბერს — 15 ს.

46 წლის ბულგარელმა ზღვაოსანმა გეორგი გეორგიევმა დაიწყო დედამიწის ირგვლივ იახტით მოგზაურობა. ენთუზიასტ სპორტსმენს განზრახული აქვს მოგზაურობის 11 თვის მანძილზე გამოსცადოს თავის მიერვე კონსტრუირებული და აგებული ხელსაწყოები.

სურათზე: გ. გეორგიევი სტარტის წინ.

იუპი-საკდესის ფოტო.

ჰოკეის ამბები

გაიმარჯვეს მასპინძლებმა

ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა პირველ ამხანაგურ მატჩში, რომელიც პრაღაში 12 ნოემბერს ჩატარდა, გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:3 (2:1, 3:1, 0:1).

დიდი უპირატესობით

მოსკოვში, ცსკა-ს სპორტის სასახლეში გამართულ პირველ ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრები გუნდები.

საბჭოთა გუნდი, რომელსაც ვ. ტიხონოვი და ი. მოროზოვი წვრთნიან ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: სიდელნიკოვი; პერვუხინი — ვ. ფილიპოვი; სპირიდონოვი — კუჩერენკო, ხატულევი — ს. გუსევი; დევიატოვი — ვერიგინი — სემიონოვი, სკვორცოვი — კოვინი — პოდგორცევი, ა. ანდრეევი — ვ. გოლიკოვი — კრუტოვი, კოსტილევი — გლუხოვი — ბრაგინი. მესამე პერიოდში სიდელნიკოვი ბაბარიკომ შეცვალა.

შეხვედრამ მასპინძელთა დიდი უპირატესობით ჩაიარა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 8:1 (2:1, 3:0, 3:0).

ასპარეზობენ ახალგაზრდული გუნდები

12 ნოემბერს მოსკოვში, ცსკა-ს სპორტის სასახლეში, ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 4:3 (1:1, 2:1, 1:1).

მასპინძელთაგან შაიბები გაიტანეს ავდეევმა, ფროლიკოვმა, სტარიკოვმა და ვასტრიფევმა. სტუმართაგან — ცილდრმა, გოდინამ და ჩერნიმ. (საკდესი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-59.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14964